

# ისტორია – HISTORY

## პაპუნა გაბისონია

### მურლულის ხეობის ისტორიული გეოგრაფიიდან

მურლულის ხეობა მდებარეობს მდინარე ჭოროხის მარცხენა შენაკად, მურლულის აუზში.<sup>1</sup> ეს ძველი ქართული მხარე დღეს ართვინის (თურქეთი) პროვინციაში შედის. მურლულის ხეობა 11-მდე სოფელს მოიცავს, რომელთაც დღეს თურქული სახელწოდებები აქვთ. 1931-32 წლების საქართველოს საზოგადო რუკაზე ეს სოფლები ქართული სახელწოდებით არის მოცემული: მურლული, კორიდეთი, დურჩა, ადურჩა, ძანსული, ბუჯური, კეული, კამელეფი, სოხვა, ჯუვანი, ერეგუნა, მცირეთი, ჩხალეთი, ჩანგურეთი, პოროსეთი, გოგლიეთი, ქვამცირეთი, ბაგა.<sup>2</sup>

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია მურლულის ხეობის სოფელი კორიდეთი. ამ სოფლის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში დაახლოებით IX-XIV საუკუნეებში ინახებოდა ეტრატზე ბერძნულ ენაზე დანერილი ოთხთავი, რომელიც შემდეგ სვანეთში მოხვდა. ეს ხელნაწერი კორიდეთის სახარების სახელით არის ისტორიოგრაფიაში ცნობილი და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. კორიდეთის ოთხთავს როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ენაზე რამდენიმე მინაწერი აქვს, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდიან ამ რეგიონის ისტორიაზე. კორიდეთის სახარებასთან დაკავშირებულ საკითხებს მრავალი მეცნიერი იკვლევდა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარის და ვ. სილოგავას გამოცემები.

კორიდეთის სახარების მინაწერებში ამ მხარის მმართველი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები არიან მოხსენიებულები: მურვან I (XI-XII სს-ის მიჯნა), ბეშქენ I (XII ს. I ნახევარი), მურვან II (XII ს-ის შუა ხანა), ბექა და ბეშქენი (XII ს-ის II ნახევარი), მურვან III (XII ს-ის დასასრული), ყუთლუ არსლანი

<sup>1</sup> ნაშრომი მოხსენების სახით წარმოდგენილი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციაზე (თბილისი, 2020 წლის 23 დეკემბერი).

<sup>2</sup> საქართველოს სსრ საზოგადო რუკა, 1931-32 წწ.

(XII ს-ის დასარული). ოთხთავის მინაწერებში ამ ფეოდალური სახლის წევრები გვარის და ტიტულის გარეშე არიან მოხსენიებულნი; მხოლოდ ერთ მინაწერში ბეშქენი არის ერისთავთ-ერისთავის ტიტულით დასახელებული.<sup>1</sup> მოგვიანო ხანის, 1266-1280 წლებით დათარიღებულ მინაწერში მოხსენიებულია ჟან ჩიასძე, რომელსაც ამირსპასალარის თანაშემნის, ამირახორის თანამდებობა უკავია.<sup>2</sup>

კორიდეთის სახარების მინაწერში მოხსენიებული ჟანის გვარის ნაკითხვის დროს ვ. სილოგავამ უპირატესობა მიანიჭა „ჩიასძის“ ფორმას. თუმცა აღნიშნული გამოცემისთვის დართული ტაბულის მე-14 ფოტოზე, ჩვენი აზრით, უნდა იკითხებოდეს ჭიასძის გვარი. ოთხთავის მინაწერების პირველ გამოცემაში ნ. მარი ამ გვარს ჭიასძის ფორმით გადმოგვცემს.<sup>3</sup> ჭიასძის ფორმით აქვს ეს გვარი მოხსენიებული მოსე ჯანაშვილს.<sup>4</sup> ვ. სილოგავა ჟან ჩიასძეს ამ ოთხთავის მინაწერებში მოხსენიებულ სხვა პირების ფეოდალური სახლის წარმომადგენლად არ მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ჟანის ძე ბეშქენის სახელი უფრო ადრეული ხანის მინაწერებში მოხსენიებულ პიროვნებას ჰქვია.<sup>5</sup> ვფიქრობთ, რომ ჟანი და მისი შვილი ამ ფეოდალურ გვარს უნდა უკავშირდებოდნენ. ნაკლებად სავარაუდოა დროის მცირე მონაკვეთში გარკვეულ ტერიტორიაზე ერთი ფეოდალური სახლი მეორეს შეეცვალა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გვარის დასახელების ფორმასაც. ჩვენი აზრით, სწორი ფორმა უნდა იყოს ჭიასძე, როგორც ეს ნ. მარს და მ. ჯანაშვილს აქვთ გადმოცემული. ჭიასძის გვარი პირდაპირ კავშირშია სახელწოდება მურღულის ეტიმოლოგიასთან.

ნ. მარმა ტოპონიმი მურღული ქანურ სიტყვა „მურღის“, გარეულ მარწყვს დაუკავშირა.<sup>6</sup> ლაზურად მურღი მაცყალია<sup>7</sup>. მაგრამ მურღულთან დაკავშირებით მეგრულის მცოდნეს პირველი ასოციაცია „მურღულიასთან“ ექნება, რომელიც გრძელი ჭიაა. მეგრულში დღესაც არის გამოთქმა „ქვარას მურღულია ხო ვაიხე“, ანუ „მუცელში ჭია ხომ არა გყავსო“.

ტოპონიმ მურღულის კვლევისას, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ფლავიუს არიანეს ცნობას. არიანე წერს: „ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი,

<sup>1</sup> კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გვ. 18.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>3</sup> Марр, *Грузинские приписки греческого Евангелия из Коридий*, გვ. 223.

<sup>4</sup> Джанашвили, *Описание рукописей Церковного музея Грузинского экзархата*, кн. III, გვ. 235; ჯანაშვილი, *კორიდეთის ოთხთავი*, გვ. 76.

<sup>5</sup> კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გვ. 14.

<sup>6</sup> Марр, *Грузинские приписки греческого Евангелия из Коридий*, გვ. 219.

<sup>7</sup> თანდილავა, *ლაზური ლექსიკონი*.

როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომი, რომელიც უგულადესია და ტრაპიზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან. ესენი მეტად კარგი მეომრები არიან და ახლაც დიდი მტრებია ტრაპიზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავს. ძველთაგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატიურად არ შემოაქვს გადასახადი“.<sup>1</sup>

არიანეს ამ ცნობაში საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რატომ ეწოდებოდა სანების ანუ ჭანების ტომს ძველად დრილები, როგორც მათ ქსენოფონტი მოიხსენიებს. ი. დვორეცკის ძველბერძნული ლექსიკონის მიხედვით „Δριλαο“ ჭიაცყელაა (წვიმის ჭია).<sup>2</sup> თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, ჭანების ამ ტომის ადგილობრივი სახელწოდება „მურლული“ ძველმა ბერძენებმა თავისებურად „დრილა“-თი ანუ ჭიათი გაიაზრეს.

ვფიქრობთ, რომ ჭიასძეს ქართული ფეოდალური სახლი ამ რეგიონს უკავშირდება და გვარის სახელიც კუთხის სახელწოდებიდან – „მურლულიდან“ მომდინარეობს. ქართულ ფეოდალურ სამყაროში შესვლისას ამ მხარის ფეოდალს გვარის შესაბამისად გაფორმება მოუწევდა. „მურლულის“ ფორმით ნარჩინებულთა იერარქიაში ადგილს ვერ დაიკავებდა. გამომდინარე აქედან მეგრულ-ჭანური „მურლული“ ქართულ ჭიად გადაკეთდა და სათანადოდ გაფორმება – „ძე“-ც დაერთო. შესაბამისად „მურლულის“ ერთი შტო ქართულ ფეოდალურ სამყაროში ჭიასძე გახდა. შესაბამისად, კორიდეთის სახარების ერთ საბუთში მოხსენიებული ჟანი ჭიასძეს გვარს ატარებს. სამეგრელოს ფეოდალური გვარები: გოშაძე (გოშუა), დგებუაძე (დგებია), ჭილაძე (ჭილაია) ამის ნათელი მაგალითია. ხოლო ამ გვარის დანარჩენი შტო ადგილობრივი ფორმით დარჩებოდა, ვფიქრობთ, რომ დღევანდელი ქართული გვარი მურლულია ამ კუთხიდან უნდა მომდინარეობდეს.

ტოპონიმ კორიდეთის ეტიმოლოგიას ნ. მარი ხსნის როგორც ხოჭოს, ხოლო ოთხთავის მინანქრებში მოხსენიებულ სოფელ დურჩას „რჩ“ ჭანურ ზმნას უკავშირებს, რაც, მისი აზრით, დანოლილს ნიშნავს. გამომდინარე აქედან, ის დურჩას სარეცელს, სანოლს უკავშირებს.<sup>3</sup> მეგრულში „რჩ“ ძირი აწარმოებს ზმნა დორჩელს, რაც დაფენილს ნიშნავს (შესაძლებელია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლის – დარჩელის – სახელწოდება დაფე-

<sup>1</sup> ფლავიუს არიანე, *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო*, გვ. 42.

<sup>2</sup> *Древнегреческо-русский словарь*, გვ. 426.

<sup>3</sup> *Март, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридий*, გვ. 219.

ნილს უკავშირდებოდა. ეს სოფელი გეოგრაფიულად დაბლობ ადგილზე, შავი ზღვის სიახლოვეს არის გაშენებული). მეგრულში დღესაც გამოიყენება ზმნა „დურჩ“ რაც სიტყვასიტყვით „დაუგო“-ს ნიშნავს. ა. ტულუმი ტოპონიმ დარჩელს ფიტონიმ დარიჩინს უკავშირებს.<sup>1</sup>

კორიდეთის სახარების ერთ მინაწერში მოხსენიებულია სოფელი ირემეთი. ეს სოფელი მურღულის ხეობაში არ შედის და ის მაჭახელის ხეობას განეკუთვნება. ირემეთი დღეს სოფელ მინდაეთის (Maral köy) უბანია.<sup>2</sup>

კორიდეთის ოთხთავის ერთი ბერძნული მინაწერი გვამცნობს: „მე გურგენ კომესი, ტეფრიკის ტაქსიარიდან, მოვედი ციხესა პავლიკიანთასა (?), სიმაგრესა ჩხიეთსა“.<sup>3</sup>

ტოპონიმ ჩხიეთთან მსგავსებას ავლენს მდინარე მურღულის მარცხენა მხარე, კორიდეთის მოპირდაპირედ მდებარე სოფელი ჩხალეთი.<sup>4</sup>

საინტერესოა ბერძნულ მინაწერში მოხსენიებული აქ მდებარე „პავლიკიანთა სიმაგრე“. ბიზანტიის იმპერია VII-IX საუკუნეებში პავლიკიანთა სექტანტურმა მოძრაობამ მოიცვა. მათი იდეოლოგია ქრისტიანობის პირველყოფილი სინმინდის დაცვას ეფუძნებოდა. იმპერიის ხელისუფლებამ მათზე სასტიკი იერიში მიიტანა და ისინი დაამარცხა. თუმცა ეს მოძრაობა მომდევნო საუკუნეებშიც აგრძელებდა არსებობას და სულაც არ არის გამორიცხული, რომ მურღულის ხეობაშიც ყოფილიყვნენ მათი მიმდევრები.

კორიდეთის საბუთებში გვხვდება სახელი ყუთლუ-არსლანი, რომელიც კორიდელთათვის ბემქენის დაწერილ საბუთს ხელს აწერს. ამ მინაწერიდან ირკვევა, რომ ყუთლუ-არსლანი მურვანის ძე და ბემქენის შვილიშვილია.<sup>5</sup> ეს სახელი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში და დოკუმენტებში ორჯერ გვხვდება: ერთხელ თამარის პირველ ისტორიკოსთან, ხოლო შემდეგ 1259 წელს გაცემულ რკონის სიგელში. თამარ მეფის მემამათიანე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ის ავტორი წერს: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: დასხდომილნი მუნ შიგა, გამგებლნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინდა სრულ იქნებოდეს განგებულნი ჩუენი“.<sup>6</sup>

<sup>1</sup> ტულუმი, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 135-136.

<sup>2</sup> ბარამიძე, მუსლიმური საკულტო ძეგლები, გვ. 34.

<sup>3</sup> კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გვ. 51.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ საზოგადო რუკა, 1931-32 წწ.

<sup>5</sup> კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გვ. 29-30.

<sup>6</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 30-31.

თამარის მეფობისას ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება დაეთმო. ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული ფაქტის შესწავლა საქართველოს ისტორიის კვლევის უნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა. შესაბამისად, სტატიაში ამ მოვლენის ვრცლად გაშუქება ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს და მხოლოდ საკვანძო მომენტებს შევხებით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყუთლუ-არსლანი დაბალ სოციალურ ფენას განეკუთვნებოდა და „სიმდიდრით აღზევებულთა“ წრის წარმომადგენელი იყო.<sup>1</sup> ამ მოსაზრებას მრავალი მკვლევარი მეტ-ნაკლებად იზიარებს. ნ. ბერძენიშვილი თამარ მეფის ამ ვეზირს დიდებულად მიიჩნევდა და მინიშნება გააკეთა მის სამძივართა ფეოდალურ გვართან კავშირზე.<sup>2</sup> არსებობს მოსაზრება ყუთლუ-არსლანის ჯაყელთა საგვარეულოსთან კავშირის შესახებ.<sup>3</sup>

ყუთლუს დიდაზნაურად მიიჩნევდნენ პ. ინგოროყვა, მ. ლორთქიფანიძე, ნ. შოშიაშვილი. ამ საკითხს ვრცელი და საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ი. ანთელავამ, სადაც დამაჯერებლად გააშუქა ყუთლუ-არსლანის გამოსვლის პროგრამული საკითხები. მან ყუთლუ-არსლანის დიდ-აზნაურობა დამაჯერებლად დაამტკიცა, ხოლო წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს დიდებული აღმოსავლეთ საქართველოდან (ან ჩრდილოეთ სომხეთიდან) არ უნდა ყოფილიყო.<sup>4</sup>

თამარ მეფის დროინდელი მემკვიდრის და კორიდეთის სახარების მიწანერის გარდა ყუთლუ-არსლანის სახელი 1259 წელს გაცემულ რკონის სიგელშიც გვხვდება. ამ სიგელში მეჭურჭლეთუხუცესი კახა გვამცნობს: „მერმეთუ ვინ იმისი (ე. ი. შენირულობის) მომშლელი გამოვიდეს ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყუასი, ანუ ყუთლუარსლან ვითარ ყო და ვითა ქირშიმ ელარიონს უყო“.<sup>5</sup>

ამ ცნობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ყუთლუ-არსლანს კახას ერთ-ერთი ნათესავისთვის ან წინაპრისთვის ეკლესიისათვის შენირული ქონება წაურთმევია. მისი აზრით, შესაძლებელია ეს ახალი ამბავიც ყოფილიყო, იმავე XIII საუკუნის შუა წლებში მომხდარი, როდესაც რკონის სიგელი გაიცა. თუმცა, სახელოვანი მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ ეს ამბავი უფრო ადრე, თამარის მეფობისას მომხდარიყო და კახა მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანს ჰგულისხმობდა შენირული ქონების მიმტა-

<sup>1</sup> ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. 2, გვ. 224.

<sup>2</sup> ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, VII, გვ. 141-147.

<sup>3</sup> ინგოროყვა, *რუსთველიანა*, გვ. 596-601. პ. ინგოროყვა ასევე მიიჩნევს, რომ XI საუკუნის ნახევარში მოღვაწე ბეშქენ ჯაყელი კორიდეთის თემის მფლობელი იყო.

<sup>4</sup> ანთელავა, *XI-XV საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური საკითხები*, გვ. 177-179, 203-207.

<sup>5</sup> *ქრონიკები*, გვ. 136.

ცვლად. ივ. ჯავახიშვილმა იქვე მიუთითა, რომ ყუთლუ არსლანის ვინაობის საბოლოოდ დადგენა ამ შემთხვევაშიც არ იქნებოდა შესაძლებელი.<sup>1</sup>

დასკვნის სახით, შესაძლებელია გამოვთქვათ მოსაზრება: რადგან ყუთლუ-არსლანის სახელი ჯერჯერობით ქართულ საისტორიო სხვა საბუთებში არ გვხვდება, თამარის ვაზირი, მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი ჩავთვალოთ მურღულის ხეობის მფლობელ დიდებულად (თუ უფრო მეტი ტერიტორია არ ჰქონდა). შესაბამისად, ის დაკავშირებული უნდა იყოს ჭიასძეთა ფეოდალურ სახლთან.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

**ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი** – ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959.

**კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.)** – კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბილისი, 1989.

**ქრონიკები** – ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, 1213 წლიდან 1700 წლამდე, ტფილისი, 1897.

**ანთელავა, XI-XV საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური საკითხები** – ანთელავა ი., XI-XV საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური საკითხები, თბილისი, 1980.

**ბარამიძე, მუსლიმური საკულტო ძეგლები** – ბარამიძე რ., მუსლიმური საკულტო ძეგლები, ბათუმი, 2017.

**ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII** – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბილისი, 1974.

**ინგოროყვა, რუსთველიანა** – ინგოროყვა პ., რუსთველიანა, „თხზულებანი“, I, თბილისი, 1963.

**ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო** – ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭალმაძისა, თბილისი, 1961.

**თანდილავა, ლაზური ლექსიკონი** – თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი, ქართული ლექსიკონები, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი: <http://www.ice.ge/liv/liv/lazur.php>.

<sup>1</sup> ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 109.

*საქართველოს სსრ საზოგადო რუკა, 1931-32 წწ.* – საქართველოს სსრ საზოგადო რუკა, 1931-32 წწ., ალ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1931-1932.

*ტულუში, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან* – ტულუში აბ., ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, თბილისი, 2012.

*ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 2* – ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, თბილისი, 1983.

*ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნაკვ. II* – ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ნ. II, ნაკვ. II, ტფილისი, 1929.

*ჯანაშვილი, კორიდეთის ოთხთავი* – ჯანაშვილი მ., კორიდეთის ოთხთავი და მისი ქართული წარწერები, „ძველი საქართველო“, ტ. I, ტფილისი, 1909.

*Джанашвили, Описание рукописей Церковного музея Грузинского экзархата, кн. III* – Джанашвили М., Описание рукописей Церковного музея Грузинского экзархата, кн. III, Тифлис, 1908.

*Древнегреческо-русский словарь* – Древнегреческо-русский словарь, составил И. Дворецкий, т. I, Москва, 1958.

*Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридий* – Марр Н., Грузинские приписки греческого Евангелия из Коридий, „Известия Императорской академии наук“, XV, Санкт-Петербург, 1911.

**Papuna Gabisonia**

## **From the Historical Geography of the Murghuli Gorge**

### Summary

Murghuli Gorge is located on the left bank of the river Chorokhi, in the province of Artvin, Turkey. This Georgian-populated region was one of the corners of historic southwestern Georgia. There were villages in this gorge: Murguli, Korideti, Durcha, Adurcha, Dzansuli, Bujuri, Kamelepi, Changureti, Poroseti, Chkhaleti, Goglieti, Keuli, Ereguna, Juvani, Mcireti, Sokhva. Today the names of these villages are changed to Turkish.

Important is the Gospel with Georgian and Greek inscriptions from the Church of Korideti, one of the villages in the Murguli Gorge. This Gospel is written in Greek. Later the Gospel got to Svaneti. It is kept in Tbilisi today. According to the inscriptions of this gospel, the Murghuli Gorge was ruled by the feudal family of the Chiasdze.

In Megrelian-Laz, Murghuli means worm. The ancient Greeks and Romans called this region Drilla. The Greek drill is the same as worm. Chiasdze became the surname of the ruling feudal family according to this historical micro-region.

The village of Durcha is mentioned in the Gospel of Korideti. This village still exists today. The Gospel of Korideti mentions the village of Iremeti, which does not belong to this valley and is located in Mandeti, in the Machakheli valley. The inscription mentions a fortress in the village of Chkhieti – this is the village of Chkhaleti. One of the inscriptions of the Gospel of Korideti mentions a famous Georgian political figure of the 12<sup>th</sup> century, Kutlu Arslan, Minister of Finance of Queen Tamar. This person in his time organized a political demarche against the king and opposed his one-man rule. It is conceivable that Kutlu-Arslan belonged to the feudal family of Chiasdze.